ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

ანა ქიღიტაშვილი

სამართლის დოქტორი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: მართლმსაჯულება, არასრულწლოვანი, გამოძიება

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის განვითარება, კეთილდღეობა და სიძლიერე დამოკიდებულია უსაფრთხოებაზე, რაც ნიშნავს ისეთ სამართალდამცავთა უწყებების საინფორმაციო სისტემების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფს: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. თანამედროვე გამოძიების პროცესის დროს გასათვალისწინებელია ისეთი ძირითადი გარემოებები, რომლებსაც გააჩნია არსებითი მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ჩატარებისათვის, გამოძიების სწორი მიმართულებით წარსამართად. ეს კი აუცილებელი წინაპირობაა დანაშაულის სწრაფი და ეფექტური გამოძიებისა და გახსნისათვის.

გამოძიების დაწყების მომენტისათვის მოძიებული პირველადი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, აგებული უნდა იქნეს საგამოძიებო ვერსიები დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე

ცალკეული გარემოებების სავარაუდო ახსნის შესახებ. მათ საფუძველზე უნდა მოხდეს საგამოძიებო გეგმის შედგენა.

1. გამოსაძიებელ საქმეზე წამოყენებული ვერსიები;
2. დასადგენი გარემოებები საგამოძიებო ვერსიების შემოწმების გზით;
3. ს.ს. საქმეზე ჩასატარებელი საგამოძიებო, საპროცესო მოქმედებები და ოპერატულ-სამძებრო ღონისძიებები;
4. შემსრულებელი;
5. გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების შერჩევა (იგულისხმება კრიმინალისტიკური აღჭურვილობა, სხვადასხვა კვლებისა და ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა/ამოღებისათვის და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისათვის – ფარული აუდიო, ვიდეო, ფოტო გადაღებების ტექნიკური საშუალებები);

გამოძიების დაგეგმვაში კონკრეტული დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ან და გასახსნელად, ანუ კანონით დადგენილი ამოცანის შესასრულებლად, საჭიროა შესაბამისი კონკრეტული მიდგომა და მოქმედება. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი თანამდებობის პირის ყოველი მოქმედება ნაკარნახევი უნდა იყოს კონკრეტული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანის გადასაწყვეტად. ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად გამომძიებელი ახორციელებს ისეთ მოქმედებებს, რომლებსაც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ეწოდება, ანუ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები წარმოადგენს ე.წ. „იარაღს'', რითაც გამოძიების ორგანო განახორციელებს დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას. მარტივია გავაკეთოთ დასკვნა და ჩამოვაყალობოთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ცნება:

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება არის – კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც თავისი კომპეტენციის და უწყებრივი/ტერიტორიული ქვემდებარეობის ფარგლებში უზრუნველყოფს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონით გათვალისწინებულ ამოცანათა შესრულებას.

- დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;
- იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;
- იმ პირის ძებნა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენის მიზნით, რომელიც მიუხედავად გამოძახებისა, თავს არიდებს გამოძიების ან სასამართლოს წინაშე გამოცხადებას;
- ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ძებნას და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, თუ ის თავს არიდებს მისთვის შეფარდებული იძულებითი ღონისძიების გამოყენებას ან დანაშაულის სასჯელის მოხდას;
- დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;
- უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა;
- სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება;

დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება (სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობის დადგენა).

ეს ამოცანები ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელმა ორგანოებმა უნდა შეასრულონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. მაგალითად, ისეთი ამოცანის შესრულებას, როგორიცაა: დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება, ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დანაყოფები.

სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება აისახება გამომძიებლის მუშაობაში დასა-

ბუთებულ ვარაუდზე მტკიცებულებების შეგროვებით. მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ხოლო **სასამართლო ადგენს**,

- *არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე (სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პირველი მიზანი – დანაშაულის გამოძიება)* და ამ ეტაპზე გამომძიებელი, როგორც ბრალდების მხარის წარმომადგენელი, მუშაობს მაკვალიფიცირებელ მტკიცებულებებზე, რომელთა მეშვეობითაც ანიჭებს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულებრივ შემთხვევას კვალიფიკაციას;
- *ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა და ამ ეტაპზე გამომძიებელი მაიდენტიფიცერებელ მტკიცებულებზე ზრუნავს, რომ* ბრალდების შესახებ დადგენილებაში აისახოს: ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით; გამოძიებით მოძიებული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა; ბრალდების შესახებ დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას პირის ბრალდების თაობაზე. (სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მეორე მიზანი – სისხლისსამართლის დევნა);
- *დამნაშავეა თუ არა იგი (სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მესამე მიზანი – მართლმსაჯულების განხორციელება), აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.*

განვიხილოთ გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ინსტიტუტები არასრულწლოვანთა მიმართ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა დანაშაულის გამოძიების პროცესში ადგენს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების და სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვნის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- დანაშაულის გამოძიება;
- სისხლისსამართლებრივი დევნა,
- საქმის სასამართლოში განხილვა და დანიშნული სასჯელის ან სხვა ზომის აღსრულება, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირი არის *მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი, შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსო-*

ნალი, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

არასრულწლოვნის დამკავებელი პირი არის გამომძიებელი, პროკურორი. დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უკავშირდებიან არასრულწლოვნის მშობელს და სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებენ არასრულწლოვნის დაკავების შესახებ, მის ადგილსამყოფელს და განუმარტავენ არასრულწლოვნის დაკავების მიზეზს, სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის დასაბუთებით და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებების განმარტებით.

დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი.

კანონი მოითხოვს არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და გამოძიებისას უნდა იყოს შეგროვილი და გათვალისწინებული მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები. აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მეშვეობით და შემდგომ გამოძიების პროცესში არასრულწლოვნის მიმართ უნდა იყოს შედგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომლის საფუძველზე გათვალისწინებული ორგანო შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება დანაშაულის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე:

- განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;
- სასჯელის დანიშვნისას;
- საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;
- არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;
- პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო – პრობაციის ეროვნული სააგენტო, პენიტენციური დეპარტამენტი.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით და, ჩემი აზრით, ზემოაღნიშნულ უწყებებს უნდა დაემატოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, რომლის დებულებაში ასახულია შემდეგი ვალდებულებები

უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ და გამოვლენილ სამართალდარღვევებზე რეაგირებას, მის აღკვეთას და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებას (ცივი იარაღის ტარება, ნარკოტიკული ნივთიერებების

შენახვა-მოხმარება, ჯანმრთელობის დაზიანება, თამბაქოს რეალიზაციის წესის დარღვევა, წვრილმანი ხულიგნობა და სხვა ისეთი ქმედებები, რომლებიც ხელყოფს საზოგადოებრივ წესრიგს და ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულებაში ასახულია ისეთი ვალდებულებები, რომელთა საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მიხედვით, დაუყოვნებლივ იწყება გამოძიება. გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.

სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობს 2 მიმართულებით, ესენია:

- საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები;
- ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს *სასჯელაღსრულებისა* და *პრობაციის სამინისტროს*, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული ორგანოებისა და გამომძიებლების (მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისას) გამართულ საქმიანობას და საკუთრივ მათი მუშაკების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ტარდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძველზე და შესაბამისი სახელმწიფო უწყების ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

როდესაც იწყება გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა არასრულწლოვანთა მიმართ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ მომზადდეს და განხორციელდეს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებანი ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის და ზოგადად პრევენციის ღონისძიებების გასატარებლად. ოპერატიული შემოწმების მასალები არ წარმოადგენს არასრულწლოვნის უფლებებისა და თავისუფლებების უფლებების შეზღუდვის საფუძველს. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესრულებისას საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები ვალდებულნი არიან, თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა დაიცვან არასრულწლოვნის *საუკეთესო ინტერესები, განაპირობონ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია* და *არ დაუშვან არასრულწლოვანის ხელახალი ვიქტიმიზაცია.*

როგორც უკვე აღვნიშნე, ამჟამად საუბარი გვექნება იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე, რომელთა ჩატარება სავალდებულოა არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების სტადიაზე და პირველ რიგში უნდა ჩატარდეს;

პირის გამოკითხვა – ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის პირადი გასაუბრება არასრულწლოვანთან, რომელმაც რაიმე იცის გამოსაკვლევი შემთხვევის ან მასთან დაკავშირებულ პირთა შესახებ. გამოკითხვა/გასაუბრება ნებაყოფლობითია და გამოსაკითხ პირს არ აფრთხილებენ ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ოპერატიული მუშაკი ან გამომძიებელი გამოკითხვის შესახებ დადგენილი წესით ადგენს პატაკს, რომელიც გასაცნობად არ წარედგინება გამოკითხულ არასრულწლოვანს;

უნდა გამოიკითხონ ის პირები, რომ-

ლებმაც შეიძლება რაიმე იცოდნენ მოსალოდნელი დანაშაულის ჩადენის შესახებ. ასეთები შეიძლება იყვნენ კონკრეტული სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით: სასწავლებლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, სკოლის და სასწავლებლების მანდატურები, მოსწავლეები/სტუდენტები, ტექნიკური პერსონალი (დამლაგებლები, მეეზოვები) დაცვის თანამშრომლები, სტუდენტთა საახლობლო და სამეგობრო წრე, გარე მოვაჭრეები, კაფე-ბარების მომსახურე პერსონალი და ა.შ.

ცნობების შეგროვება – ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის მიერ კრიმინალისტიკური, ოპერატიულ-სამძებრო ან ინფორმაციის შენახვის სხვა წყაროდან იმ ფაქტობრივი მონაცემების ოფიციალურად მოძიება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისათვის.

ცნობები უნდა შეგროვდეს იმ პირებსა (არასრულწლოვანთა ჯგუფზე) და მოვლენებზე, რომლებიც გამოიკვეთება პირის გამოკითხვის ჩატარების დროს. მაგალითად, პირის გამოკითხვის დროს გაირკვა, რომ მოქალაქე ბ. დღის მეორე ნახევარში გადის სახლიდან და გვიან ღამით ბრუნდება შინ. იგი, შესაძლოა, ეწეოდეს საეჭვო საქმიანობას. ამისათვის მოხდება მისი დემოგრაფიული მონაცემების მეშვეობით შსს-ს და სხვა სამართალდამცავი ორგანოების საინფორმაციო ბაზებიდან ინფორმაციის ამოღება. კერძოდ, საცხოვრებელი მისამართის (რეგისტრაციის ადგილის დადგენა), ცნობის მიღება ნასამართლეობის შესახებ, რომელი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილდება, რა სახის სამართალდარღვევები აქვს ჩადენილი, რომელ ქსელში ჩართული ტელეფონით სარგებლობს (მაგთი, ჯეოსელი და სხვა), ასევე, ტელეფონის ნომერი, სოციალური ქსელი და ა.შ.

პოლიციის დოსიედან, უბნის პასპორტიდან შეიძლება გავიგოთ არასრულწლოვნის დემოგრაფიული მონაცემები, ასევე, მონაცემები იმ პირთა შესახებ რომლებიც შემჩნეული არიან საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატურ დარღვევაში, რომლებსაც ჩადენილი აქვთ, ამზადებენ ან სჩადიან დანაშაულს, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს პრევენციური ღონისძიებები, რომლებიც სჩადიან სამართალდარღვევებს საოჯახო სფეროში, რომლებიც არიან არასრულწლოვნები და სისტემატურად სჩადიან დანაშაულს.

აგრეთვე მოიპოვება შემდეგი მონაცემები:

- იმ მშობლების შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- მრავალგზის ნასამართლევი პირების შესახებ;
- ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შესახებ;
- არასრულწლოვანი მაწანწალების შესახებ;
- უცხოელი მოქალაქეების შესახებ.

ვიზუალური კონტროლი – ოპერატიული თვალთვალი, რომელიც კონსპირაციულად ტარდება ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ უშუალოდ ან ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით;

ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი – გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობა, ასევე უკანონო კომპიუტერული მონაცემის მიღების სიტუაციის შექმნა, რომელიც ემსახურება დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში დიდი ყურადღება ეთმობა ვიქტიმიზაციის საკითხებს, როგორებიცაა: მეორეული ვიქტიმიზაცია – არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის /არასრულწლოვანი მოწმისთვის შესაძლო ზიანის მიყენება მისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად. დაკითხვის პროცესი აისახება ვიდეო-აუდიო ჩანაწერზე, რადგან მეორადი ვიქტიმიზაცია ითვალისწინებს ხანგრძლივ სტრესულ რეაქციებს, ხშირად ამწვავებს მოქმედებებს და დამოკიდებულებას იმ სისტემების მხრიდან, რომლებიც მოწოდებულია იმისთვის, რომ

დაეხმაროს არასრულწლოვან პიროვნებებს კრიზისის დროს. ამას ეწოდა მეორეული ვიქტიმიზაცია და დამტკიცებულ იქნა, რომ ის შეიძლება ფსიქოლოგიურად უფრო მეტად იყოს ზიანის მომტანი მსხვერპლისთვის, ვიდრე თვითონ ტრავმა.

ხელახალი ვიქტიმიზაცია ითვალისწინებს არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის ზიანის მიყენებას ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად.

მე ვფიქრობ, სავალდებულოა, არასრულწლოვანთა ვიქტიმიზაციის პროცესის აცილების მიზნით, ჩატარდეს ზემოაღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა მეშვეობით აღიწერება არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისი ბუნება, ინტერესები, სამოტივაციო ზრახვები და მიზნები. შემდგომში კი მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიებისას – გამომძიებელი, სისხლისსამართლებრივი დევნის დროს – პროკურორი, ხელთ იქონიონ არასრულწლოვან ბრალდებულზე სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაცია, რომლის საფუძველზე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებების განხილვისას მოსამართლე იხელმძღვანელებს ისეთი ფაქტობრივი მასალებით, რომელთა საფუძველზე მართლმსაჯულება იხელმძღვანელებს უფრო შემამსუბუქებელი გარემოებებით არასრულწლოვან ბრალდებულთა სასარგებლოდ.

მოსამართლის პრეროგატივაა შემდგომში ალბათობის მაღალი ხარისხის საფუძველზე წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის დროს და გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენოს სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი ან და წარმოიშობა გამამართლებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა არასრულწლოვნის უდანაშაულობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. ქ. ქუთაისი, 2015 წ. www.matsne.gov.ge
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ქ. თბილისი, 2009 წ. www.matsne.gov.ge
3. საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ. ქ.თბილისი,1999წ. www.matsne.gov.ge
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულება. სსმ, 103, 24/08/2010 www.matsne.gov.ge

OPERATIVE-INVESTIGATIVE ACTIVITY AND JUVENILE JUSTICE

Anna Chighitashvili

Doctor of Law,
Professor at European Teaching University,
Associate Professor at Tbilisi Teaching University

KEY WORDS: Justice, juvenile, investigation

RESUME

In the current article the legislation of the juvenile justice during the investigation process is discussed, as well as the criminal liability of minors, procedure of administrative misdemeanor committed with the participation of a minor and on the particularities of the criminal procedure, sentence and special rules for other means of law enforcement. The purpose of the juvenile justice code is to protect the best interest of minor during judicial procedures, as well as re-socialization and rehabilitation of a minor being in conflict with the law, the avoidance of the repeated victimization of a minor.

In the modern investigation and prosecution institutions the operative investigation means are used towards minors, in order to create individual report on a minor. The methodology, rules and standards for filing the report are established by the joint decree of the minister of justice, minister of internal affairs, minister of corrections, and from my point of view the office of resource officers of the educational institutions created under the ministry of education and sciences shall join the abovementioned decree, as in the Statute of the office there are proscribed following responsibilities: ensure due response to the occurred or detected

offences at the premises of the educational institution or nearby territory, their suppression and transferring information to respective law enforcement agencies (carriage of guns, storage and use of drugs and similar substances, health damage, infringement of rules for the realization of tobacco, small hooliganism and similar acts, which suppress the public order and interferes the study process) according to the rules prescribed in the juvenile justice code. The materials obtained during operative search do not represent the ground for the limitation of the rights and freedoms of a minor. Law enforcement agents must, within their competence, take all necessary measures to protect the best interest of a minor.

And at last, in particular according to the results of the operative searching activity at the preliminary court hearing during the detailed hearing of the case and during the delivery of a decision the judge takes into consideration the high level of probability, that is based on the coinciding and proving evidence that is sufficient for the presupposition of high level in order to render a condemnatory judgment on the criminal case where the minor is involved or where the evidence gives grounds for exculpatory judgment, that would convince an objective person in the innocence of the minor.

BIBLIOGRAPHY:

1. Law of Georgia Juvenile Justice Code. Kutaisi, 2015. www.matsne.gov.ge (In Georgian)
2. Criminal Procedure Code of Georgia. Tbilisi, 2009. www.matsne.gov.ge (In Georgian)
3. Law of Georgia on operative-searching activities. Tbilisi, 1999. www.matsne.gov.ge (In Georgian)
4. Statute of the Office of resource officers of the educational institutions. ssm, 103, 24/08/2010. www.matsne.gov.ge (In Georgian)